

კონკურსის პირობები

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის
ინსტიტუტი

აცხადებს

ღია კონკურსს

შემდეგი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად:

**ნახევარგამტარული მასალათმცოდნეობის ლაბორატორიის
ლაბორანტი**

ადგილების რაოდენობა - 1.

თანამდებობრივი სარგო - 340 ლარი.

სამუშაოს ტიპი -

გამოსაცდელი ვადა - 3 თვე.

ფუნქციები:

- ლაბორატორიის მიმართულებით კვლევით სამუშაოებში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში ინსტიტუტში მიმდინარე სხვა სამუშაოებში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში სამუშაო ჯგუფების და კომისიების საქმიანობაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში დირექციის, ლაბორატორიის ხელმძღვანელის სხვა დავალებების და მითითებების შესრულება.

განათლება:

- არანაკლებ ტექნიკური ან საბუნებისმეტყველო მიმართულებით ბაკალავრიატის კურსდამთავრებული ან დამამთავრებელი კურსის სტუდენტი.

დამატებითი მოთხოვნები:

უპირატესობა მიენიჭება ელექტროფიზიკური გამზომი ხელსაწყოებზე მუშაობის უნარის მქონე კონკურსანტებს.

კანონმდებლობის ცოდნა:

- „საქართველოს შრომის კოდექსის“ ზოგადი ცოდნა;
- სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის წესდება;
- „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის ზოგადი ცოდნა;
- უსაფრთხოების ტექნიკის დაცვასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტები.

ენების ცოდნა:

- ქართული ენის კარგად ცოდნა.
- ერთი უცხო ენის ცოდნა.

კომპიუტერის ცოდნა

- Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, ინტერნეტი - დამაკმაყოფილებლად ცოდნა.

კომპეტენცია:

პასუხისმგებლობის გრძნობა, გამართულად წერისა და მეტყველების უნარი, გუნდურად მუშაობის

უნარი, შრომისმოყვარეობა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულობა, კომუნიკაბელურობა, პროდუქტიულობა.

სავალდებულოდ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- განცხადება არსებული ფორმის შესაბამისად;
- სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- ავტობიოგრაფია/CV;
- ორი რეკომენდატორის: სახელი, გვარი: სამუშაო ადგილი; თანამდებობა; ტელეფონის ნომერი; ელ.ფოსტის მისამართი.

არსებობის შემთხვევაში წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი.

შენიშვნა:

1. აღნიშნული დოკუმენტების წარმოუდგენლობა ან არაჯეროვანი სახით წარმოდგენა გამოიწვევს კონკურსანტის მოხსნას კონკურსიდან.
2. განცხადება უნდა იყოს ხელმოწერილი, დათარიღებული და შემდეგ დასკანერებული სახით წარმოდგენილი.
3. დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე (უცხოურენოვანი დოკუმენტის შემთხვევაში საჭიროა მისი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის წარმოდგენა).

კონკურსანტებმა განცხადება და მოთხოვნილი დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ელექტრონულად, ელ. ფოსტის xlomidze@sipt.org.ge საშუალებით.

კონკურსში მონაწილეობისათვის საბუთების მიღება იწყება **2019 წლის 05 დეკემბრიდან** და მთავრდება **2020 წლის 10 იანვარს**.

კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად:

- I ეტაპი - განაცხადების გადარჩევა, რაც გულისხმობს კონკურსანტის მონაცემების შესაბამისობის დადგენას ვაკანტური თანამდებობისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებთან;
- II ეტაპი - შერჩეული განაცხადების საფუძველზე მეორე ეტაპზე გადასული კონკურსანტის გასაუბრება საკონკურსო კომისიასთან.

შერჩევის მეორე ეტაპზე გადავლენ მხოლოდ ის კონკურსანტები, რომელთა მონაცემებიც დააკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს.

გასაუბრებაზე კონკურსანტის დროულად არგამოცხადების შემთხვევაში, იგი მოიხსნება კონკურსიდან.

კონკურსის ყოველი ეტაპის შედეგები კონკურსანტს ეცნობება გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა, მის მიერ განაცხადში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე.